პროექტი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება
„საერთო სასამართლოებში კლანური მმართველობის შეფასების თაობაზე“

საქართველოს პარლამენტი,

აცნობიერებს რა, რომ დამოუკიდებელი სასამართლო სამართლის უზენაესობის და ადამიანის უფლებათა დაცვის ქვაკუთხედია, რომლის გარეშეც შეუძლებელია სამართლიანობის დამკვიდრება და ქვეყნის გრძელვადიანი სტაბილური განვითარება;

ითვალისწინებს რა, რომ 2004 წლის შემდეგ სასამართლომ გადადგა ნაბიჯები ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით, თუმცა, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს სასამართლოში ჩამოყალიბდა მოსამართლეთა ორგანიზებული ჯგუფი (მოსამართლეთა კლანი), რომელმაც ხელში ჩაიგდო სასამართლოს მართვის ბერკეტები და სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური მექანიზმებით უზრუნველყოფდა აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მორჩილებას და პოლიტიკური დავალებების შესრულებას. აღნიშნულის შედეგად, სასამართლო ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი სრულად დამორჩილებულ შტოდ, რომელიც ვერ ასრულებდა ხელისუფლების სხვა შტოების მაკონტროლებელ, ადამიანის უფლებათა დამცველ და კანონის უზენაესობის გარანტის ფუნქციას;

ითვალისწინებს რა, რომ 2012 წელს ხელისუფლებაში მოსული ქართული ოცნების ერთ-ერთ მთავარ წინასაარჩევნო დაპირებას სამართლიანობის აღდგენა და დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნა წარმოადგენდა, რისთვისაც 2013-2016 წლებში ხელისუფლებამ შეიმუშავა საკანონმდებლო პაკეტი და დაიწყო სასამართლო რეფორმის ახალი ეტაპი, რომელიც მნიშვნელოვან სიახლეებს ითვალისწინებდა, თუმცა, სხვადასხვა მიზეზთა გამო ამ ცვლილებებმა შედეგად ვერ მოიტანა სასამართლო სისტემის არსებითი გაჯანსაღება და სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გაზრდა. მოსამართლეთა კლანმა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს მართავდა და აკონტროლებდა სასამართლოს, კვლავ მოიპოვა ძალაუფლება სასამართლოში, ხელში ჩაიგდო იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დაიწყო სასამართლო კორპუსიდან მოწინააღმდეგეების განდევნა და საკუთარი მომხრეების დანიშვნა ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივი აზრის იგნორირებით და მართლმსაჯულების ინტერესის საწინააღმდეგოდ. დღევანდელი სასამართლოსთვისაც ნიშანდობლივია ხელისუფლებისადმი მორჩილება და პოლიტიკური დავალებების შესრულება;

აღიარებს რა, რომ სასამართლოში არსებული კრიზისული მდგომარეობა საჭიროებს სათანადო პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებას და არსებული კრიზისიდან გამოსავლისთვის შედეგზე ორინეტირებულ გადაწყვეტილებებს;

ითვალისწინებს რა, რომ ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაეცა ძალაუფლება უვადოდ დააკომპლექტოს საერთო სასამართლოების სისტემა და მათ შორის საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატურები;

ითვალისწინებს რა, რომ 2018 წლის დეკემბერში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა კლანისადმი ერთგულების პრინციპით შედგენილი უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატთა 10 კაციანი სია, რომელმაც, როგორც მისი შექმნის პროცესის, ასევე, შინაარსის გამო, ფართო საზოგადოებრივი პროტესტი გამოიწვია, რაც საბოლოო ჯამში საპარლამენტო უმრავლესობის რღვევასა და პოლიტიკურ კრიზისშიც გადაიზარდა. პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პროტესტის ნიშნად თანამდებობიდან გადადგა, შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე სიის განხილვა პარლამენტში შეჩერდა, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა მოითხოვა კლანის წევრების გადადგომა;

ითვალისწინებს რა, რომ კლანი და მისი ხელმძღვანელები ჩამოყალიბდნენ პოლიტიკური პროცესების მხარედ, აქტიურად მონაწილეობენ საჯარო პოლიტიკურ-საარჩევნო დებატებში და ძირს უთხრიან სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპს;

ითვალისწინებს რა, რომ სასამართლოში არსებული სისტემური პრობლემების აღიარება და წარსულისთვის თვალის გასწორება არის სასამართლოს მორალური რეაბილიტაციის, საზოგადოებასთან ჯანსაღი დიალოგის დაწყების და მართლმსაჯულების მიმართ ნდობის აღდგენის ერთადერთი გზა, რასაც ხელს უშლიან კლანი და მისი ლიდერები;

ითვალისწინებს რა, რომ სასამართლოში კლანური მმართველობა ძირს უთხრის ჭეშმარიტ სამოსამართლო ღირებულებებს, მოსამართლეებში ნერგავს შიშს, კონფორმიზმს, ნეპოტიზმს, ფარულ გარიგებებს, დევნის კრიტიკულ აზრს და ინდივიდუალიზმს, შესაბამისად, მორალურად ანადგურებს სასამართლოს სისტემას და მცდარ გზაზე აყენებს სასამართლოში შესულ ახალ კადრებს;

ითვალისწინებს რა, რომ სასამართლო სისტემაში კლანური მმართველობის გამყარება ნიშნავს ხელისუფლებისადმი მორჩილი და მანკიერი სასამართლო სისტემის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას, რომელსაც არ აქვს საზოგადოებრივი ნდობა და რომელიც ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას, კონფლიქტების

მშვიდობიან მოგვარებას, საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის მშვიდობიან და დემოკრატიულ განვითარებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. აღიარებული იქნას სასამართლოში არსებული სისტემური პრობლემა კლანური მმართველობის სახით;
2. შეიქმნას სასამართლო სისტემაში არსებული ვითარების შემსწავლელი კომისია (ქვემოთ „კომისია“), რომლის შემადგენლობაში შევლენ როგორც საპარლამენტო, ასევე, არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აკადემიური წრეების წარმომადგენლები;
3. კომისიამ 2020 წლის 1-ლ თებერვლამდე შეისწავლოს სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობა, განსაკუთრებით, კლანური მმართველობის კუთხით და წარმოადგინოს სასამართლო სისტემის გაჯანსაღების გეგმა, ასევე, საკანონმდებლო წინადადებები კლანური მმართველობის და მისი ნეგატიური შედეგების აღმოფხვრის მიზნით;
4. 2020 წლის 20 აპრილამდე საქართველოს პარლამენტმა მიიღოს საკანონმდებლო ღონისძიებები სასამართლოში არსებული კლანური მმართველობის დასრულების და სასამართლო სისტემის რეალური რეფორმირების მიზნით.
5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე